



151 3-100

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

თბილისის სამმართველო
TBILISI DIVISION

№ 1-03/244

20 მარტი 2015წ

საქართველოს სტრატეგიული განვითარების

ცენტრის დირექტორის ლ. თოდუას

ქალბატონო ლია,

2015 წლის 16 მარტს სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოში შემოვიდა თქვენი #2-731 წერილი, რომელიც ეხებოდა ჯავახიშვილის ქუჩაზე მდებარე მაღაზიაში ვადაგასული უნგრული „სალიამი“-ს რეალიზაციის ფაქტს.

2015 წლის 16 სექტემბერს თბილისის სამმართველოს სპეციალიტების მიერ შესწავლით, წერილში მითითებული ფაქტი დადასტურდა. „ლუდის მარკეტში“ (შპს „LUDI ლუდი“, მდებარე ჯავახიშვილის ქ. #12; ს/კ 404452025; დირექტორი ალ. აზაურაშვილი) რეალიზაციაში ჰქონდათ სხვადასხვა დასახელების ვადაგასული ნახევრად შებოლილი, მოხარშული ძეხვეული და ჩიფსები. მ. შ. უნგრული „სალიამიც“. პროდუქტების დიდ ნაწილს სარეალიზაციო ვადა გასული ჰქონდა იანვრის თვეში. ვადაგასული სურსათი ამოღებული იქნა რეალიზაციიდან, დაილუქა და 2015 წლის 17 მარტს განადგურებული იქნა კანონმდებლობით დადგენილი წესით. შპს „LUDI ლუდი“ ვადაგასული სურსათის განთავსების გამო დაჯარიმდა 200 ლარით.

პატივისცემით,

ცეზარ მაჩიტაძე

სამმართველოს უფროსი